საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეატრალური საზოგადოება

თეატრალური საზოგადოება, შემოქმედებითი კავშირი. შეიქმნა თბილისში 1881 ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თაოსნობით (დრამ. საზ-ბის სახელწოდებით). განახლდა 1945. სხვადასხვა დროს საზ-ბის თავ-რეები იყვნენ: შ. დადიანი, ა. ხორავა, მ. მრევლიშვილი, დ. ანთაძე, დ. ალექსიძე, გ. ლორთქიფანიძე. თ. ს-ის მიზანია გააერთიანოს თეატრის მოღვაწეები, ხელი შეუწყოს თეატრების შემოქმედებით საქმიანობას. საზ-ბა ატარებს სეზონის შემაჯამებელ პლენუმებს, თეორ. კონფერენციებს, შემოქმედებით და ხსოვნის საღამოებს. მას ხელმძღვანელობს გამგეობა, რ-საც ირჩევს კავშირის წევრთა ყრილობა 3 წლის ვადით. საზ-ბას აქვს აჭარის, ქუთაისის, გურიის, რუსთავის განყ-ბები. თ. ს. გამოსცემს თეატრ. ლიტ-რას (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", გაზ. „ქართული თეატრის დღე"), ანიჭებს კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, ვ. ანჯაფარიძის, პ. ოცხელის, ა. ხორავას სახ. პრემიებს. ტარდება ყოველწლიური კონკურსი "სეზონის საუკეთესო თეატრალური ქმნილება". კავშირთან დაქვემდებარებულია ა. ხორავას სახ. მსახიობის სახლი. 2010-იდან კავშირის თავმჯდომარეა გ. ქავთარაძე, მოადგილე – ს. მრევლიშვილი. საზ-ბას თეატრ. მოღვაწეთათვის აქვს დასასვენებელი სახლები ბობოყვათსა და მანგლისში.